პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით
პარასკევი, 28 მარტი 1924 წ.
წელიწადი მეოთხე
ფასი 5 კაპ. ჩერ.

წითელი არმიელი

№ 461 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., რუსთ. პროს. ქართ. დივ. შტაბი ქალ. ელს № 1—40
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო. ნეც. ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის ახალ ძალებზე.

კომუნისტური პარტიის მეცამეტე კონფერენციამ გადასწყვიტა, თავის რიგებში მიიღოს კიდევ ასი ათასი წევრი, უმთავრესათ ქარხნის დაზგის მუშები. პარტიის ამ გადაწყვეტილებას მხურვალეთ შეეგება საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი. ლენინის სიკვდილმა უფრო გააძლიერა მუშების ლტოლვა კომპარტიისაკენ. მშრომელთა ფართო მასებმა სავსებით შეიგნეს და შეითვისეს ის გარემოება თუ რამდენათ დიდ დანაკლისს შეადგენს მათთვის ლენინის გარდაცვალება, რომლის მაგიერობა შეუძლია მხოლოდ მუშათა კლასის კოლექტიურ ნებისყოფას.

და ჩვენ ვხედავთ, რომ მუშათა კლასის საუკეთესო ნაწილი აწყდება კომპარტიის რიგებს. მიდის მასთან იმ აზრით გამსჭვალული, რომ მეტის ენერგიით და გაასკეცებული ძალით წინ წაიყვანოს კომპარტიის მიერ დაწყებული საქმე და სისრულეში მოიყვანოს ძვირფასი ბელადის ყველა ანდერძები.

პარტიაში შესვლის მსურველნი არა თუ ასი ათასი აღმოჩნდა, არამედ სამას ათასზე მეტი.

სრულიად უშიშრათ ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ სამასი ათასი ახალი „წევრი“ ამბობს ამხ. ზინოვიევი.

ასე ამ რიგად კომუნისტური პარტია იზრდება და ძლიერდება. მის რიგებს ამშვენებს მუშათა კლასის საუკეთესო ნაწილი. „ლენინის გაწვევა“ კიდევ ერთხელ ამტკიცებს მას თუ რამდენათ ძლიერია ჩვენი პარტიის ავტორიტეტი და გავლენა მუშათა კლასში, თუ რამდენათ მუშებს უყვარს ის და ენდობა მას.

„ლენინის გაწვევა“ გულისხმობს მუშათა კლასის და მუშათა პარტიის ერთ მთლიან ორგანიზაციულ ერთეულად გადაქცევას.

სამიოდე წლის შემდეგ ერთ მილიონ და ორას ათას წევრებიდან, მრეწველობაში მომუშავე მუშების რიცხვი ჩვენს პარტიაში მიაღწევს მილიონს“ ამბობს ამხ. ზინოვიევი.

პარტიის ახალი ძალები უნდა იქმნას გამოყენებული მაქსიმალურად, ვინაიდან ისინი მოვიდენ ჩვენთან საქმის გასაკეთებლად.

კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტმა დაადგინა, რათა საშვალება მიეცეს ახალ ამხანაგებს მიიღონ მონაწილეობა პარტიის მომავალ მეცამეტე ყრილობაზე. ამისთვის წარმომადგენლობის ნორმა შემცირებულია 1000-დან 500-მდე ე. ი. თითეულ ხუთას წევრს შეუძლია ერთი დელეგატი გაგზავნოს.

გარდა ამისა მთელი ჩვენი პარტიის მოვალეობას შეადგენს სათანადოთ აღზარდოს ჩვენი ახალი წევრები, და შექმნან ღირსეულ კომუნისტებათ, ლენინის ჭეშმარიტ მოწაფეებად.

რეიხსტაგის არჩევნები გერმანიაში.

გერმანიაში ამ ჟამად გაცხარებული რეიხსტაგის საარჩევნო კამპანია სწარმოებს. არჩევნებში მონაწილე პარტიების ბრძოლა მეტის მეტად გამწვავებულ ხასიათს ღებულობს. არჩევნებში მონაწილეობას იღებს აგრეთვე კომუნისტური პარტია, რომლის წინააღმდეგ დაირაზმა ყველა პარტიები დაწყებული სოციალ-დემოკრატიისაგან და გათავებული შავრაზმული ტევტონთა პარტიით, რომელიც მოუწოდებს ხალხს მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. კომპარტიის მტრები თავის მოძრაობაში მის წინააღმდეგ ყოველგვარ საშვალებას მიმართავენ. როგორც რადიო იტყობინება მთავრობის მიერ გაცემულია ბრძანება გერმანიის პროლეტარიატის ბელადის ამხ. კლარა ცეტკინის დასაპატიმრებლად. მიუხედავათ ყოველგვარ რეპრესიებისა და საზიზღარი ცილისწამებისა, რომელსაც ავრცელებენ ბურჟუაზიული პარტიები, გამყიდველი სოციალ-დემოკრატია, კომუნისტები მაინც ბრწყინვალე შედეგებს აღწევენ არჩევნებზე. სხვათა შორის მათ შესძლეს ბერლინში სამ ადგილას ჩაეშალათ ბურჟუაზიული პარტიისათვის საარჩევნო კრებები.

გათახსირებულ გერმანიის სოციალ-დემოკრატია რომელსაც არა ერთხელ უღალატია მუშათა კლასისთვის ბურჟუაზიასთან ბრძოლაში დღითი დღე კარგავს თავის ავტორიტეტს და გავლენას მუშათა მასებზე.

სოციალ-მოღალატეები სცდილობენ, რათა შეინარჩუნონ თავისი გაბატონებული მდგომარეობა მუშათა კლასის მასებში კომპარტიის წინააღმდეგ გააფრთებული ბრძოლის საშვალებით.

მაგრამ დღითი დღე მათი რიგები უფრო და უფრო იშლება და დნება. მათი უფერული „დემოკრატიული“ (ნამდვილათ კი ბურჟუაზიულ-რეაქციონურ) ლოზუნგები არავითარ გამოძახილს არ პოულობენ მუშათა კლასში.

დღეს ყველა გერმანელ მუშისათვის ნათელი და ცხადია თუ რას წარმოადგენს სოციალ-დემოკრატების ლაპარაკი 8 საათის სამუშაო დღის შენარჩუნებაზე.

ის მხოლოდ ცარიელი სიტყვებია და სინამდვილეში ნიშნავს ბრძოლას მის წინააღმდეგ.

გერმანიის მუშათა კლასის ხსნა მხოლოდ პროლეტარულ რევოლიუციაშია, მხოლოდ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ის იხსნის თავს ბურჟუაზიისა და მის მოსარჩლე სოციალ-დემოკრატიის ბატონობისაგან.

ეს მომენტიც შორს არ არის.

რადიო-დეპეშები

— საბერძნეთის რესპუბლიკის თავად დროებით არჩეულ იქნა რეგენტი კონდურიოტისი.

— როანნაში (საფრანგ.) 12.000 მუშა—ფეიქარმა გადასწყვიტა გაიფიცონ ეკონომიურ ნიადაგზე.

— საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ უნდობლობა გამოუცხადა მთავრობას. პუანკარემ ჩააბარა მილიერანს თხოვნა კაბინეტის გადადგომის შესახებ.

საბჭოთა კავშირი.

მოსკოვში წასვლა არ შეიძლება თუ არ სამსახურის გამო.

მოსსაბჭოს პრეზიდიუმმა მიმართა გაფრთხილებით საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს, რომ მოსკოვში და ის ახლო მახლო ადგილებში ბინისა და სამუშაოს მიღება არ შეიძლება. არავითარი თხოვნა მოსულთა ბინის მიცემის შესახებ თუ მათ არ იწვევს ცენტრალური ხელისუფლება არ იქნება განხილული. მოსკოვის შრომის ბირჟა არ აღრიცხავს მოსულ უმუშევრებს.

პრესის აქტიურ მომუშავეთა თათბირი.

პრესის დაკვრითი ამოცანები.

რკპ.-ს ცეკას პრესის განყოფილებაში მოხდა პრესის საოლქო განყოფილებათა და 20 მსხვილი საგუბერნიო გაზეთების რედაქტორთა თათბირი. თათბირმა დაამტკიცა, რომ ჩვენი პრესა ვერ არჩევს სათანადოდ პარტიის ახალ წვეულთა კამპანიის საკითხს. თათბირი აუცილებლად სცნობს დაიწყოს გაზეთების საშვალებით პარტიის ახალ წვეულთა აღმზრდელობითი მუშაობა.

ქვევით თათბირმა სცნო მორიგ ამოცანად გაშუქებულ იქნას პრესაში ის საკითხები, რომლებიც შეეხებიან სავაჭრო და კოოპერატიულ აღმშენებლობას, აგრეთვე გლეხთა სესხს და მასთან საჭიროა გაშუქებულ იქნას „ხოზორგანოების“ დადებითი და უარყოფითი მხარეები.

გაზეთი იწვევს გლეხს.

თათბირზე გამოირკვა, რომ საბჭოთა კავშირის გაზეთების რაოდენობა არ შეცვლილა, მაგრამ ტირაჟი გაიზარდა 1.900.000 (გასულ წელში) 2 ნახ. მილიონამდე. გლეხთა პრესა თანდათან იჩვევს გლეხს და ჰპოულობს მტკიცე საფუძველს. სოფლის მკითხველის ინტერესი გაზეთისადმი შესამჩნევად გაიზარდა. მიმდინარე წლის 1-ლ მარტისთვის არსებობდა 117 გლეხთა გაზეთი რომელთა ყოველდღიური ტირაჟი უდრიდა 172.000, იმ დროს როდესაც გასული წლის აპრილში გამოდიოდა 54 გაზეთი—ტირაჟით 88.000 ხელის მოწერა უმეტესი ნაწილად ინდივიდუალური.

გაზეთის დიფიციტები საგრძნობლად შეიკვეცა.

ამხ. ზინოვიევი ინგლის-რუსეთის კონფერენციის შესახებ.

ინჟინერთა საგუბერნიო ყრილობაზე ამხ. ზინოვიევმა მოხსენებაში ინგლისთან მომავალ მოლაპარაკების შესახებ განაცხადა, რომ მოლაპარაკებას ექნება განსაკუთრებით სამეურნეო მნიშვნელობა და მათი კონცენტრაცია მოხდება სხვა და სხვა სახის ანაზღაურების მოთხოვნილების მიზნით.

ინგლისის მთავრობა ანგარიშობს თავის პრეტენზიებს, სადაც შედის სამხედრო ვალები და პროცენტები, ჯამით 10 ნახ. მილიარდ მანეთზე მეტი ოქროთი.

ჩვენი პრეტენზიები, რომლებიც გამოწვეული არიან ინტერვენციით, კოლჩაკის მიერ წაღებულ ოქროთი, ზარალით ამიერ-კავკასიაში, აღემატებიან ინგლისის პრეტენზიებს ორი მილიარდით. თუ არ იქნება ამ ორი მილიარდის მიღების შანსები ინგლისიდან, შეიძლება დაბეჯითებით ვსთქვათ, რომ ვერც ინგლისის მთავრობა ვერ აიღებს ჩვენგან სამხედრო ვალებსა და პროცენტებს.

ინგლისის მესაკუთრეთა ქონების ნაციონალიზაცია სერიოზულ საკითხს წარმოადგენს. ასეთი პრეტენზიების რიცხვი უდრის 115, რომელთა საერთო თანხა აღწევს 600 მილიონ მანეთამდა ამ საკითხში არავითარ დათმობას ვერ მიიღებენ ინგლისის მტაცებლები ჩვენის მხრივ.

სასაცილო იქნებოდა გვეფიქრა, რომ მუშათა კლასი, რომელმაც გაიღო მრავალი მსხვერპლი, დაჰღვარა სისხლი ურიცხვ ფრონტებზე და დაიცვა თავისი უფლება, დღეს როდესაც ის შეუდგა მშვიდობიან აღმშენებლობას, უკანვე დააბრუნებს იმ ჩამორთმეულ ქონებას, რომელიც მას მიანიჭა რევოლიუციამ. აი რით იხელმძღვანელებს ჩვენი დელეგაცია ინგლისის მთავრობასთან მოლაპარაკების დროს,

ვალდებულების მეორე საკითხს რომელსაც საბჭოთა კავშირი თავის თავზე იღებს, ამ ვალდებულებებს ის უსათუოდ წმინდათ აასრულებს. თუ ინგლისის მთავრობა სერიოზულად მიუდგება საკითხს, მაშინ დაიწყება საქმიანი ურთიერთობა, რაიც არ ყოფილა უკანასკნელ 7 წლის განმავლობაში.

ვენის კონფერენცია.

არა ოფიციალური თათბირი.

ორივე დელეგაციის მდივნებმა მოკლე დროით ინახულეს ერთმანეთი, რის შემდეგ მოხდა დელეგაციის თავმჯდომარეების არა ოფიციალური თათბირი. ირჩეოდა ტეხნიკური საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კონფერენციის მუშაობასთან. თავმჯდომარეები შეთანხმდენ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს 26 მარტს არა ოფიციალურ თათბირზე. კონფერენციის გახსნას მოელიან 27 მარტს. კონფერენციას გახსნის ავსტრიის მთავრობის წარმომადგენელი, რის შემდეგ წაკითხულ იქნება დელეგაციების განცხადებები.

რუმინეთს აშინებს ბესარაბიის საკითხის გარჩევა.

რუმინეთის გაზეთის „უნივერსალ“-ის ცნობით რუმინეთის დელეგაციას მიეცა გარკვეული ინსტრუქციები გასწყვიტოს მოლაპარაკება, თუ საბჭოთა დელეგაცია აღძრავს ფორმალურ შეკითხვას ბესარაბიის შესახებ. ამ შემთხვევაში რუმინეთის დელეგაციის თავმჯდომარე რასკანუ წაიკითხავს ბუქარესტში შედგენილ ნოტას. რომელიც არა სასურველად სთვლის მოლაპარაკების წარმოებას ბესარაბიის რუმინეთთან შეერთების შესახებ.

ნოტაში აღნიშნულია, რომ ბესარაბია შეუერთდა რუმინეთს ნებაყოფლობით, ვინაიდან ბესარაბიის მოსახლეობის უმეტესობა მეგობრულადაა განწყობილი რომინეთისადმი. ამ შეერთებას სანქცია ეყო აგრეთვე საზავო მოლაპარაკების დროს; ამისათვის რუმინეთი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს ამ საკითხის ხელმეორედ განხილვას. იმავე დროს ნოტაში გამოთქმულია, რუმინეთის სურვილი მიაღწიოს შეთანხმებას ყველა სხვა სადაო საკითხებში.

ბესარაბიის დაპყრობის რატიფიკაციის წინააღმდეგ.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში ბესარაბიის რუმინეთთან შეერთების შესახებ წინააღმდეგ წავიდენ კომუნისტური და სოციალისტური პარტიები და აგრეთვე 10 რადიკალი.

ბესარაბიის საკითხი

ნაკაზი კიევში მცხოვრებ ბესარაბიელებს.

ბესარაბიის ემიგრანტების მიტინგმა, რომელზედაც დაესწრო 1,500-დე კაცი, მიიღო საბჭოთა დელეგაციის ნაკაზი ვენის კონფერენციაზე, რომელშიაც მოითხოვენ რუმინეთის მიერ ბესარაბიის საჩქაროდ განთავისუფლებას და ბესარაბიის ერთი თვით გამორკვევის ცნობას. ნაკაზი აბარებს მშრომელთა ინტერესების და უფლების დაცვას ვენის კონფერენციაზე საბჭოთა კავშირის დელეგაციას.

მოლდავანთა და ბესარაბიელთა ურილ. ქალაქ სიმფეროპოლში.

მოლდავანთა და ბესარაბიელთა მრავალრიცხოვანმა კრებამ ერთსულოვნათ დაადგინა შეუერთდენ ბესარაბიის კალონიების მოთხოვნილებებს სსრკ—ს სხვა ქალაქებში-რუმინეთის ხელისუფალთა მიერ ბესარაბიის საჩქაროდ განთავისუფლების, მუშებისა და გლეხების რუმინეთის ციხეებიდან განთავისუფლებისა და ზარალის ანაზღაურების შესახებ, რაიც გამოიწვია რეკვიზიციამ.

იაპონია ამ დღეებში გაუკეთებს რატიფიკაციას ბესარაბიის შეერთებას რუმინეთზე.

იაპონიის ელჩმა ბუქარესტში „ადევერულ"-ის თანამშრომელთან საუბარში განაცხადა რომ იაპონიის მიერ ბესარაბიის რუმინეთთან შეერთების აქტის რატიფიკაცია მოხდება ახლო დღეებში.

გერმანიის ამბები.

რეიხსტაგის არჩევნების წინ გერმანიაში.

მხოლოდ კლასიური ბრძოლ გადასწყვეტს პროლეტარიატის ბედს.

ბრანდენბურგის ორგანიზაციის კომპარტიის პარტეიტაგის მოწოდება.

გერმანიის კომპარტიის ბრანდენბურგის ორგანიზაციის საოლქო პარტეიტაგის მოწოდებაში ნათქვამია, რომ არა პარლამენტარული არჩევნები, არამედ კლასიური ბრძოლა გადასწყვეტს პროლეტარიატის ბედს. როცა პროლეტარიატის ორი მთავარი მტერი—სოციალ-დემოკრატები და ტევტონთა პარტია—დამარცხდებიან, მაშინ დამარცხდება ბურჟუაზიაც. ამის მიღწევა შეიძლება გადამჭრელი ბრძოლით, და არა საარჩევნებო ბიულეტენების მიცემით.

მაგრამ, პარტეიტაგი მოუწოდებს მუშებს ხმა მისცენ კომუნისტებს, ვინაიდან თითოეული კომუნისტი—დეპუტატი იმუშავებს პროლეტარული რევოლიუციის განხორციელების მიზნით, საბჭოთა სახელმწიფოს და პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად ბურჟუაზიულ რესპუბლიკის წინააღმდეგ.

გერმანიის კომპარტიის მიზანს შეადგენს საბჭოთა ხელისუფლება და პროლეტარიატის დიქტატურა.

ნოსკეს კანდიდატურა რეიხსტაგში.

გამბურგის სოციალ-დემოკრატები მიმართავენ საკონტროლო კომისიას ნოსკეს კანდიდატურის მოხსნის გამო არჩევნებში. ნოსკემ განაცხადა, რომ ის არ მოხსნის თავის კანდიდატურას. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გადასწყვიტა გადასდოს პარტეიტაგი რეიხსტაგის არჩევნების გათავებამდი, ვინაიდან არ სურს ჩაშალოს საარჩევნებო კომპანია პარტიული განხეთქილებებით. პარტიის პრეზიდიუმი სისტემატიურად რიცხავს საარჩევნებო კომპანიიდან ყველა მემარცხენე კანდიდატებს. საარჩევნებო აგიტაციაში სოციალ-დემოკრატები აწარმოებენ გაცხარებულ ბრძოლას გერმანიის კომუნისტების წინააღმდეგ.

ბრძანება ამხ. კლარა ცეტკინას დაპატიმრების შესახეა.

გამოქვეყნებულია ბრძანება კლარა ცეტკინას დაპატიმრების შესახებ, რომელსაც ბრალს სდებენ სამშობლოს ღალატში.

კომუნისტები შლიან ბურჟუაზიულ პარტიების საარჩევნებო კრებებს.

24 მარტს ბერლინში კომუნისტებმა ჩაშალეს 3 საარჩევნებო კრება, რომლებიც მოწყობილი იყო ბურჟუაზიული პარტიების მიერ. მემარჯვენე პრესა აღშფოთებულია ამის გამო.

საქართველოს სსრ ყველა მუშა-ქალებს და გლეხ-კაცის ქალებს, ყველა მუშებს და გლეხებს, და ყველა პატიოსან მოქალაქეთ.

საქართველოს ყევლა სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეებს, სამხრეთ-ოსეთისა, აჭარისტანისა და აფხაზეთის რესპუბლიკების ცაკის თავმჯდომარეებს.*)

იმპერიალისტურმა სასაკლავომ, სამოქალაქო ომმა, ეკონომიურმა არევ-დარევამ და ვოლგის განაპირა გუბერნიების არაჩვეულებრივმა შიმშილმა ქუჩებზე გამოყარა ასი-ათასობით უპატრონო, მშიერი, ობოლი და ავადმყოფი ბავშვები.

ნაგავის ყუთები, დამტვრეული ვაგონები, ღრმა ორმოები, ქალაქის დიდი შენობების ცივი შესასვლელები, გაპარტახებული მამულები, დანგრეული აგარაკები—აი საუკეთესო ღამის გასათევი ადგილები, რომელნიც წილად ხვდათ ათი ათასობით უპატრონო-უმწეო, მშობლიურ ალერსს მოკლებულ და ქუჩაზე უდანაშაულოდ გამოგდებულ ბავშვებს.

ეს ბავშვები ასობით და ათასობით იღუპებიან და ამას ვერავინ ამჩნევს. სახელმწიფო არ ზოგავს არავითარ თავის ძალღონეს და საშუალებებს, რომ აიყვანოს ეს უბედური ბავშვები თავის მზრუნველობის ქვეშ და მოათავსოს ისინი საბავშვო დაწესებულებებში. მაგრამ ყველა ამოცანების დაძლევა ამ ბავშვთა მიმართ დღეს სახელმწიფოს მარტო არ ძალუძს.

დაახლოებით სსრ. დიდი კავშირის ყველა რესპუბლიკებში ერთი მილიონი ბავშვი უკვე მოთავსებულია საბავშვო სახლებში. მაგრამ უმწეო ბავშვთა რიცხვი, მიუხედავად ამისა, იზრდება ყოველ საათს, დღითი დღე,—მათი რიცხვი რამდენიმე მილიონია ეხლა! ეს სამწუხარო მოვლენა თვალსაჩინოა ყველასათვის, ვინც კი დიდ ქალაქებში დაიარება, რკინის გზით მოგზაურობს, ან ზღვის—პირა ქალაქებში ხომალდების მისადგომი ადგილები დაუვლია.

შიშველ-ტიტველნი, ჭუჭყიანები, გამხდარ—მოქანცულები შიმშილისაგან—ეს პატარა კაცუნები თითოეულ ნაბიჯზე ხელს გვიშვერენ დახმარებისათვის. **ჩვენ-კი ხშირათ გულშეუწუხებლად და უყურადღებოთ მათ გვერდს ვუვლით!**

განა ეს ასე უნდა იყოს?! ეს ბავშვები—უდანაშაულო მსხვერპლები ეკონომიური სივიწროვისა და შიმშილისა—ხომ ჩვენი მომავალია!

მაშ, დაუყონებლივ უნდა მივიღოთ ყოველგვარი ზომები, არ დავიშუროთ არავითარი ჩვენი საშვალება, ფეხზე დავაყენოთ ყველა და გავაასკეცოთ ჩვენი ძალღონე, ძილისპირი დავუკარგოთ ყველას, დავკრათ ბუკი-ნაღარა, ვინაიდან უმწეო ბავშვების დახმარების საქმის გადადება ყოვლად შეუძლებელია!.

ჩვენი დიდი ბელადი ილიჩი სულით და გულით სწუხდა და ყოველთვის ფიქრობდა ასეთ ბავშვების მდგომარეობაზე. მან სხვა მრავალ საქმეთა შორის ჩვენ გვიანდერძა **„ბავშვთა უმწეობის ლიკვიდაცია"—მოსპობა...**

და ჩვენც სსრ კავშირის ყველა ცაკ-ან ვაწყობთ მისი სახელის **„ბავშვთა დამხმარე კომისიებს"**... ეს კომისიები მიმართავენ საბჭოთა დიდი ქვეყნის მშრომელთ, ყველა პატიოსან მოქალაქე ქალებს და ვაჟებს **დაჩქარებით მოაწყონ „ბავშვთა დამხმარე ლიგა" ან „ბავშვთა მეგობრების" საზოგადოებანი.**

ამ საზოგადოებათა მიზანია—სულ მოკლე ხანში ჩააყენონ უპატრონო ბავშვები ისეთ პირობებში, რომ ბოლოს ისინი გამოვიდნენ არა მოხეტიალე ქუჩებზე, მშიერ-მწყურვალნი, დაქანცულ-დასნეულებულნი და ბოროტ-მომქმედნი—არამედ ისინი შეიქნენ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოსა და საბჭოთა საზოგადოების ჯანმრთელი და სასარგებლო წევრნი და მოქალაქენი.

ეს იქნება ყველაზე უფრო ძვირფასი და საუკეთესო ძეგლი ყველა ქვეყნის მშრომელთა და ყველა დაჩაგრულ ხალხების დიდი ბელადის **ამხ. ლენინისათვის.**

თქვენ, ცაკის თავმჯდომარეებს, სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეებს, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო გთხოვთ იყოთ მათ რწმუნებულად „უმწეო ბავშვთა დამხმარე" საქმის მოსაწყობად.

საქართველოს ცაკი და სახკომსაბჭო მოგიწვევთ თქვენ მიიღოთ ყოველგვარი შესაფერი ზომები, რათა მშრომელთა ფართო მასები და საზოგადოთ ყველა პატიოსანი მოქალაქე ჩაბმულ იქნას „უმწეო ბავშვთა დახმარების" საქმეში და თქვენ, პროფ. კავშირის ქალთა განყოფილების და ჩვენი მებრძოლი ახალგაზრდა კომუნისტური კავშირის დახმარებით, მოაწყოთ ადგილობრივ „ბავშვთა დამხმარე საზოგადოებები", „უმწეო ბავშვთა დამხმარე ლიგა" ან „ბავშვთა მეგობრების, საზოგადოებანი, ისე, როგორც თბილისში მოეწყო და ეწყობა, სადაც სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან უკვე დაარსებულია „უმწეო ბავშვის „დამხმარე უზენაესი კომისია ამხ. ლენინის სახელობისა" და ამ კომისიასთან, მის გარშემო დგება ფართე საზოგადოება ,,ბავშვთა მეგობრები‘‘ ან ,,უმწეო ბავშვთა დამხმარე ლიგა‘‘.

მაშ, ყველა უმწეო ბავშვის დახმარებისაკენ!..

ყველა ბავშვთა უმწეობასთან საბრძოლველად!..

ყველამ, ყველამ დაეხმარეთ უმწეო, მშიერ და დაღუპვა-გადაშენების გზაზე მდგარ მოზარდს!..

ყველა ბავშვთა საზოგადოებაში წევრად, ,,ბავშვთა მეგობრების‘‘ ან ,,ბავშვთა დამხმარე ლიგაში‘‘.

საბჭოთა მუშურ-გლეხურ რესპუბლიკაში, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, არ უნდა იყოს ქუჩის ბავშვი. ყველა უნდა გრძნობდეს აქ თავს რესპუბლიკის შვილებად, ყველა ბავშვები—ეს ჩვენი მომავალი ,,მემკვიდრენი‘‘, ,,დედამიწაზე სამოთხისა‘‘,—მთელ კაცობრიობაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლები!..

გაუმარჯოს ამ ბედნიერ მომავალ კომუნისტურ კაცობრიობას.

გაუმარჯოს ყველა მშრომელთა და იმ მოქალაქეთ, რომელთაც თავიანთი გმირული მოქმედებით მისკენ მივყევართ,—კომუნიზმისაკენ!..

გაუმარჯოს კომუნიზმს—ლენინიზმს!..

ძირს სისხლის მსმელი კაპიტალიზმი—იმპერიალიზმი!..

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და მასთან დაარსებულ ,,ლენინის სახელობაზე უმწეო ბავშვთა დამხმარე" კომისიის

თავმჯდომარე: მ. ცხაკაია.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: შ. ელიავა.

თბილისი—სასახლე
1924 წ. „26" მარტი.

---

*) სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის მეორე მოწვევის მეორე სესიის მონდობილობით.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

ოსმალეთი.

გაცხარებული კამათი ოსმალეთის დიდ ნაციონალურ საბჭოში.

კონსტიტუციაში შეტანილ მუხლის გასინჯვის დროს, რომელიც ანიჭებდა პრეზიდენტს მეჯლისის დათხოვნის უფლებას, „ოდნს"-ში გაიმართა გაცხარებული კამათი. საკონსტიტუციო კომისია სცდილობდა ამ მუხლის გამორიცხვას, მისი გადასინჯვის მიზნით, მაგრამ დეპუტატები წინადუდგენ და მოითხოვენ მისი დაჩქარებით განხილვას. ორატორებმა განაცხადეს, რომ სახელდობრ ამ პუნქტში არის ერის სუვერენიტეტის აზრი. ქემალი—სთქვეს იმათ—მრავალ სიტყვებში იფიცავდა ღვთის წინაშე თავის დედის საფლავს, რომ არ დაარღვევდა სუვერენიტეტს, და მან უნდა აასრულოს აღთქმა, ვინაიდან უკანასკნელი გახდა ოსმალეთის ახალგაზრდობის პრინციპებად და მზად არიან დაიცვან ხალხის სუვერენიტეტი. პრეზიდენტის უფლების კენჭის ყრის დროს, მას მხარი დაუჭირა მხოლოდ ორ დეპუტატმა 137 წინააღმდეგ, თავი შეიკავა 2, წინააღმდეგ მისცა ხმა აგრეთვე „ოდნს"-ს თავმჯდომარემ. განმეორებულ კენჭის ყრის დროს მეორე დღეს მიიღეს იგივე შედეგები. დეპუტატებმა შეიტანეს ახალი წინადადება: გაშვებას სწყვეტს თვით ოსმალეთის დიდი ნაციონალური საბჭო; თუ ქვეყნის განსაკუთრებული პირადი ინტერესები მოითხოვს პრეზიდენტს შეუძლია წინადადება მისცეს „ოდნს"-ს მეჯლისის გაშვების პირველის გადაწყვეტილებას ძალა აქვს თუ საკითხს მხარს დაუჭერს დეპუტატების ორი მესამედი, წინააღმდეგ შემთხვევაში პრეზიდენტის წინადადება უარისყოფა.

კენჭის ყრის დროს ამ წინადადებამ მიიღო 71 ხმა. წინააღმდეგ ხმა მისცეს 122 დეპუტატმა, თავი შეიკავეს 2, ქვორუმის შეუდგენლობის გამო, საბოლოო გადაწყვეტილება გადაიდო.

სხდომის წინ ქემალის აგარაკზე გაიმართა „ოდნს"-ს დეპუტატების ხანგრძლივი კრება.

კრებამ ვერავითარი გადაწყვეტილება ვერ გამოიტანა.

„ენი გიუნ" ხსნის ამ შედეგებს იმით, რომ ზოგიერთ დეპუტატების მიერ სწარმოებდა ხანგრძლივი პროპაგანდა პრეზიდენტის უფლებების შესახებ მეჯლისის გაშვების საქმეში და აცხადებს, რომ „ოდნს"-ს უნდოდა მოეხდინა ერის უფლებათა უზურპაცია, ხოლო შედეგში მან დიდი ზიანი მიუტანა ნაციონალურ სუვერენიტეტს.

პოლიტიკური კრიზისის თავიდან ასაშორებლად, არის მთელი რიგი გადამწყვეტი ზომებისა, ამათ რიცხვში დღევანდელი მეჯლისის დათხოვნა და ახალი არჩევნების დანიშვნა.

ჩვენს წითელ კარში

18 მარტი 2-რე ლეგიონში.

პარიზის კომუნის აღსანიშნავათ 2-რე ლეგიონში მოხდა 18 მარტს საღამოს საზეიმო სხდომა. სხდომას ხსნის ამხანაგი უგულავა და უკრავს ორკესტრი ინტერნაციონალს.

მოხსენებას აკეთებს ამხ. თ. ჭაავა, რომელიც თხოვს დამსწრეებს ფეხზე ადგომით პატივი სცენ პარიზის კომუნარების ხსოვნას.

ორკესტრი უკრავს სამგლოვიარო მარშს. მომხსენებელი ჭაავამ ვრცლათ შეეხო პარიზის კომუნის წარმოშობის და დამარცხების ისტორიას, აღნიშნა უარყოფითი და დადებითი მხარეები კომუნისა, დასასრულ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ჭაავასი პარიზის კომუნის 53 წლ. თავის შესახებ, ჩვენ მე-2-რე ლეგიონის მთელი შემადგენლობა ფიცსა ვსდებთ რომ არას დროს არ დავივიწყებთ პარიზის კომუნას და სრულ გამარჯვებამდე მივიტანთ იმ ლოზუნგებს და იმ წითელ დროშას, რომელიც გვიანდერძა ჩვენ პარიზის კომუნამ.

გაუმარჯოს პარიზის კომუნარების ხსოვნას.

გაუმარჯოს საერთაშორისო მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას.

გაუმარჯოს მის მესვეურს 3-მე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

სამხკორი: **შ. მელქაძე.**

წითელ მესანგრეებში.

წითელ არმიელთა და მუშათა კავშირი უფრო და უფრო მტკიცდება; ეს ორი ძმად ნაფიცნი, როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ ფრონტზე მუდამ ერთად არიან, კერძოდ ცალკე მესანგრეთა ასეული მჭიდრო კავშირშია მბეჭდავ მუშებთან (ექსპედიციის მუშებთან და სხვა).

26 მარტს გაიბა ძმური კავშირი მთავარ სახელოსნოს მუშებთანაც.

ამ მუშებისაგან შემდგარი დრამატიული დასი ეწვია ასეულს, ამ დღეს, ამხ. ამხ. ლ. აზრუმელაშვილს, კჩიტაძის, ს. გოგაშვილის, თოთაძის, პაპელაშვილის, ჩიტაძის და სხვ., რომელთაც წარმოადგინეს კლუბ „წითელ მესანგრე“-ში „ქრისტინე“ და ვოდევილი „სიმართლე“ —დ. ჩარკვიანის რეჟისორობით.

კლუბი სავსე იყო ცალკე მესანგრე და ცალკე საკავშირო ასეულების წითელ არმიელებით; დაესწრნენ აგრეთვე მრავალი მუშა-მოსამსახურენი.

წარმოდგენის გათავების შემდეგ ამხ. ლითანიშვილმა და ამხ. ჭელიძემ ცალკე მესანგრე ასეულის სახელით მადლობა გადაუხადეს მთავარ სახელოსნოს მუშებს და კერძოდ მათ დრამატიულ დასს, რომელთაც არ დაიშურეს თავის ძალ-ღონე და ეწვიენენ წითელ მესანგრეებს გულწრფელი სურვილებით.

საპასუხო სიტყვაში ამხ. მუშა აზრუმელაშვილი სიხარულით აძლევს, ფიცს, რომ ყოველთვის მათთან იქნებიან, რა დროსაც საჭირო იქნება და არ დაივიწყებენ თავის ძმა წითელ არმიელებს.

ისმის ტაში და წითელი ფიცი ორ ძმათა—მუშათა და წითელ არმიელთა. საღამო გათავდა ღამის 12 ნახ. საათზე და კმაყოფილი წითელ არმიელნი გაეშურნენ ყაზარმებისაკენ მხიარულად.

ბრაუნიგი.

მე-3-მე ლეგ. კლუბში.

მე-3-მე ლეგ. კლუბი ამართლებს თავის დანიშნულებას. წითელი არმიელის ფართო მასსა დაინტერესებულია საკლუბო მუშაობით. წრეების მუშაობა ასეულებით (ვინაიდან ლეგ. კარანტინში იმყოფება) იღებს დიდ ნაყოფს. წითელ არმიელები იმდენად დაინტერესებულია და აქტიურია საკლუბო მუშაობის დარგში, რომ ერთმანეთს იწვევენ პოლიტ წრის ორგანოს „წით. არწივის“ საშვალებით წრეში მოხსენებების გასაკეთებლად. ლიტერატურული პოლიტიკური, აგრონომიული, სამხედრო სამხატვრო და მომღერალთა წრეები მუშაობენ ყოველ დღე და წითელ არმიელს ამზადებს სოფელში წასასვლელად. წითელ არმიელების ლტოლვა პოლიტ წრეში, იმდენად დიდია, რომ იგი ეხლა გაიყო ორ წრედ და თვითეული წრეში ირიცხება არა ნაკლებ 100 კაცისა. დრამატიული წრე მუშაობს ასეულების ფარგალში და სდგამს წარმოდგენებს ათასეულებში და ასეულებში. ყოველ მე-5—7 დღეს. კლუბის გამგეობის სახელით 18 მარტისათვის გამოშვებულ იქნა ფრიად მნიშვნელოვანი პლაკატი. ასე რომ კლუბი სდგას თავის სიმაღლეზე და უსურვოთ მას შემდეგშიაც უფრო ნაყოფიერი მუშაობა.

სამხკორი: **დგებუაძე.**

ქართულ დივიზიის ნაწილების ექსკურსიები.

ეს ორი წელია რაც ქართული დივიზიის სასკოლო განყოფილება აწყობს წ.-არმიელთა ნაწილების ექსკურსიებს. 1923 წლის განმავლობაში მოწყობილი იქნა მრავალი ექსკურსიები, რომლებშიაც მონაწილეობას ღებულობდენ მთელი გარნიზონის ნაწილების წ. არმიელები.

პირველად ვაწყობდით, უმთავრესად გეოლოგიურ ექსკურსიებს თბილისის მიდამოებში. მერე კი რამოდენიმეჯერ მოვაწყეთ მცხეთაში, ისტორიული და გეოლოგიური მიზნით, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამ საქმეში დიდათ დახელოვნებული სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი ამხ. თათარაშვილი. ის მდაბიო და გასაგები ენით უხსნიდა ამა თუ იმ გეოლოგიურ ცვლილებას ამა თუ იმ ისტორიულ ფაქტს, რითაც დიდი ყურადღება დაიმსახურა წითელ არმიელთა შორის.

მცხეთაში თითქმის არც ერთი ისტორიული ნაშთი არ დარჩა დაუთვალიერებელი: დათვალიერებული იქმნა კულტურული და არქიტექტიური ნაშთები მე-4-ხე და მე-5-თე საუკუნესი, მაგალითად ქ. მეფეების საფლავები და მთა არმაზიის ის ადგილი სადაც იყო კერპი. მცხეთის გეოგრაფიულმა მდებარეობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა წ. არმიელებზე-ექსკურსანტებზე.

ვინაიდან წითელ არმიელები ძლიერ დაინტერესა ამ ექსკურსიებმა ისინი ხშირად მიმართავდენ სასკოლო განყოფილებას, რომ კიდევ მოგვეწყო ექსკურსიები და სასკოლო განყოფილებამ, უწევდა რა ანგარიშს ექსკურსიებით გამოწვეულ სარგებლობას და მათ სურვილს, უფრო გააფართოვა თავისი გეგმა და ექსკურსიის ასე უფრო შორს გადაიტანა. მოწყობილ იქმნა რამოდენიმე ექსკურსია სურამში, ბაკურიანში, ცემში, ბორჯომ-პარკში.

დათვალიერებულ იქმნა ბორჯომპარკის მინერალური წყლები ბორჯომი თავისი შუშის და ხერხის ქარხნებით, სურამი თავისი ისტორიული ციხით, ბაკურიანი-თავისი ბოტანიკური ბაღით და სხვა.

მიმდინარე წელს ექსკურსიები ისევ განახლდა. მოწყობილი იქმნა ორი მრავალრიცხოვანი ექსკურსია ავჭალის ჰიდრო ელექტრიულ სადგურის დასათვალიერებლად, რადგან ექსკურსიებს დიდი სარგებლობა მოაქვს წითელ არმიელების განვითარების საქმეში, ამისათვის ნაწილების უფროსებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საქმეს, გამოიჩინონ ინიციატივა, მოაწყონ ექსკურსიები და ხელმძღვანელობას კი ყოველთვის პოლიტ-განყოფილების სასკოლო სექცია გაუწევთ.

მერაბიშვილი.

ცალკე საგაუბიცო ბატარეიაში.

ყველას კარგათ მოგეხსენება თუ რაძნელია პროვინციაში კლუბის სათანადო სიმაღლეზე დაყენება. იგი მოშორებულია ცენტრს და მხოლოდ მიღებულ ინსტრუქციებით მოქმედობს. მიუხედავათ ყოველ გვარ დამაბრკოლებელ მიზეზებისა ამ ქამად ხსენებულ ცალკე საგაუბიცო ბატარეის კლუბში მუშაობა სწარმოობს შემდეგი სახით. გამოდის ყოველ კვირეული კედლის გაზეთი, არსებობს დრამ-წრე ამხ. სანდრო გოგაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც სისტემატიურად მართავს წარმოდგენებს წითელ არმიელთათვის. აგრეთვე არსებობენ სხვა წრეებიც. მოწყობილია წითელი კუთხეები და აგრეთვე სამკითხველოც, რაც მიეწერება ამხ. სტურუას ენერგიულ მუშაობას. ზემოხსენებულ კლუბის სწორ მოქმედებას ხელს უშლის შემდეგი გარემოება. კლუბი დიდ კრიზისს განიცდის სათეატრო მასალების და დეკორაციების უქონლობით, რაც ყოველ ნაბიჯზე აფერხებს კლუბის მუშაობას. იმედია ყველას დაინტერესებს წითელ არმიელთა კლუბი და მიაქცევენ ჯეროვან ყურადღებას, დახმარებიან ჩვენს კლუბს.

ვანო კობახიძე.

ქ. მ. დ. უნცროს მეთაურთა მოსამზადებელ სკოლაში.

საშინელი ქარიშხალის და წვიმიან ღამის შემდეგ გათენდა გრილი და მეტად სასიამოვნო დილა. ბრწყინვალე მზემ თავისი მნათი სხივები სტყორცნა წითელ ყაზარმის ფანჯრებს. სიხარულით აღსავსე წითელი არმიელები სიამოვნებით წამოიშალნენ და შეუდგნენ თავიანთ საქმეს. აგერ გამოჩნდენ სამხედრო კომისარი და სკოლის უფროსიც. წითელ არმიელებთან ერთად ჩვენი მეთაურნი შეუდგნენ საერთო საქმიანობას... ყაზარმის შენობის და მის მოედნის გაწმენდა გასუფთავებას. სიამოვნების ღიმი დასთამაშებდა როგორც მეთაურ—ისე წითელ არმიელთა სახეზე. ჩვენი სკოლის უფროსი ამხ. დონაძე და ამხ. მაყაშვილი თავიანთი ოხუნჯური მოპყრობით დიდ სიხალისეს იწვევდენ და აღფრთოვანებას წითელ არმიელებში, ჩვენს წითელ არმიელთ უნდა მოუნახოთ ისეთი მეთაურები როგორც მაგ: ქ. მ. დ. უნცროს მეთაურთა მოსამზადებელ სკოლაში ამხ. დონაძე, მაყაშვილი და სხვები.

ვ. ქ.

მე-7დე ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლა.

შაბათს 22 მარტს მოხდა პარიზის კომუნის 3 წლის თავის აღსანიშნავად საზეიმო კრება. კრებას დაესწრო სკოლის მთელი შემადგენლობა და ადგილობრივი მცხოვრებლებიც.

მოხსენება იყო კოლექტიური. მოხსენება გააკეთეს ექვსმა კურსანტმა.

საზეიმო კრებას ხსნის ამხ. ს. ბუაჩიძე.

მოხსენება გააკეთეს შემდეგ კურსანტებმა: ამხ. ამხ. დანელიამ, ცინცაძემ, ჭკადუამ, ჩახუნაშვილმა, ჭანტურიამ და ყურაშვილმა.

მომხსენებლები შეეხნენ იმ მიზეზებს, თუ როგორ წარმოიშვა პარიზის კომუნა და რა პირობებში, და როდის. რა იყო მისი დამარცხების მთავარი მიზეზები. როგორ იძია შური პირსისხლიანმა ბურჟუაზიამ პარიზის კომუნარებზე.

აგრეთვე შეჩერდნენ იმაზე, თუ რის გაკეთება შესძლო პარიზის კომუნამ.

მომხსენებლები შეეხნენ აგრეთვე საბჭოთა რუსეთში 17 წელში, როგორ გაიმარჯვა პროლეტარულმა რევოლიუციამ.

იყო წარმოთქმული სიტყვა „მოპრის“ მნიშვნელობაზე.

კურსანტების შემდეგ გამოდის სკოლის უფროსი ამხ. ტალახაძე. მას სახეზე დიდი სიხარული ეტყობოდა როცა ხედავდა კურსანტების ასეთ გათვითცნობიერებას და მომზადებას. მართალია, ამბობს ის, თუმცა ამხ. კურსანტებმა ბევრი რამ გამოტოვეს, მაგრამ მაინც სიამოვნებით უნდა აღინიშნოს მათი მუშაობა, და შემდეგისათვის დარწმუნებული ვარ, რომ მეტ ნაყოფს და ენერგიას გამოიჩენენ.

ამხ. მომხსენებელი ეხება იმ კითხვებს, რომელიც გამორჩათ კურსანტებს.

მან აუარებელი მაგალითები მოიყვანა პარიზის კომუნის ისტორიიდან აგრეთვე ის შეეხო „მოპრის“ მნიშვნელობას.

დასასრულ მან აღნიშნა, რომ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ კომუნისტური პარტია, და მის გამარჯვებას საფუძველი ჩაუყარა პარიზის კომუნამ. ის შეცდომები, რომლებიც პარიზის კომუნარებმა დაუშვა, ჩვენთვის ის იქნა დიდი გაკვეთილი.

მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა სათანადო რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ამხ. კურსანტების და ამხ. ტალახაძის პარიზის კომუნის 53 წლის თავის და საერთაშორისო რევოლიუციონერთა დამხმარე საზოგადოების „მოპრი“-ს მნიშვნელობაზე, ჩვენ მთელი სკოლის შემადგენლობა ვიზიარებთ ბურჟუაზიის მიერ დაპატიმრებული რევოლიუციონერების ტანჯვას, მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის ამიტომ სკოლის მთელი შემადგენლობა ადგენს:

ეთხოვოს საერთაშორისო რევოლიუციონერთა „მოპრი“-ს დამხმარე საზოგადოებას, რათა სამხედრო სკოლას მისცეს რომელიმე იმპერიალისტურ სახელმწიფოს ერთ ერთი ციხის შეფობა, აგრეთვე მოუწოდებს ყველა ჯარის ნაწილებს, მიიღონ შეფობა დაპატიმრებულებზე ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

გაუმარჯოს საერთაშორისო დაპატიმრებულ ტუსაღების დამხმარე საზოგადოებას, რომლებიც ერთი სულით და გულით უწევენ დახმარებას ძვირფას დაპატიმრებულ მუშებს!

გაუმარჯოს დაპატიმრებულ გმირებს, რომლებიც მალე გამოვლენ ციხეებიდან და შეებრძოლებიან პირსისხლიან ბურჟუაზიას!

გაუმარჯოს მათ ხელმძღვანელს და მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

შემდეგ ამავე სკოლის პირველ ასეულის კურსანტების მიერ იქნა გამართული საღამო.

დადგმულ იქნა 4 მოქმ. რევოლიუციონური პიესა „დამარცხებულნი“ ირეთელის.

საღამო კარგად ჩატარდა.

უნდა სიამოვნებით აღინიშნოს ის ენერგიული და დაუღალავი მუშაობა დრამწრისა, რასაც ის ეწევა.

აი ამის მაგალითი: 15 მარტს უმწყობრო ასეულის წარმოდგენა ჩინებულად ჩატარდა, სცენაზე თამაშობდნენ ის წითელ არმიელები და მუშა ქალები, რომელთაც წერა-კითხვა არ იცოდენ, მაგრამ მაინც დიდებულად ჩაატარეს აღნიშნული საღამო.

ასეთი კარგი ნაყოფი მოგვცა ჩვენ დრამ-წრის ჯგუფებად დაყოფამ და მომავალში იმედია უფრო უკეთ წაიყვანს საქმეს.

22 მარტის წარმოდგენაც კარგი იყო. მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე უფ-შემადგენლობაც. წარმოდგენის შემდეგ ცეკვა თამაში უნდა გამართულიყო, მაგრამ ელექტრონის სადგურის გაფუჭების გამო საღამო არ შესდგა. ხალხი დაიშალა ღამის ორ საათზე.

პარტკორი **ჭკადუა.**

პარტიული ცხოვრება.

საარტილერიო პარკში.

9 მარტს შესდგა საარტილერიო პარკის კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც დაესწრო 4 კომუნისტი, 2 კანდიდატი, 2 ახალ. კომ. კავშირის წევრი და 28 უპარტიო წითელ არმიელი. თავმჯდომარეობდა ამხ. კვირიკაძე და მდივნობდა ამხ. ჯანდიერი: დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1. წინა კრების ოქმის დამტკიცება, 2. საბჭოთა რესპუბლიკების საშინაო და საგარეო პოლიტიკა, 3. მიმდინარე კითხვები.

წინა კრების მდივანმა წაიკითხა ხსენებული ოქმი, რომელიც მიღებულ იქმნა კრების მიერ უცვლელად. საბჭოთა რესპუბლიკების საშინაო და საგარეო პოლიტიკის ირგვლივ მოხსენებას აკეთებს სამხკომი ამხ. კვირიკაძე, რომელმაც გააცნო კრებას საბჭოთა რესპუბლიკების დღევანდელი და აგრეთვე წარსული წლების მდგომარეობა, მათი თანდათანობითი გამოკეთება და სრულიად გაჯანსაღება. მომხსენებელმა დეტალურად აღნიშნა თუ, როგორ პირობებში უხდება მუშაობა დღეს საბჭოთა რესპუბლიკებს. შეეხო აგრეთვე საგარეო პოლიტიკის განმ-

მტკიცებას, აღნიშნა საზღვარ გარეთელ სახელმწიფოების მიერ ს. ს. ს. რ. ცნობა და დღევანდელი საბჭოთა მთავრობის ნაყოფიერი მუშაობანი. მოისმინა, რა კრებამ მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების საშინაო და საგარეო პოლიტიკის ირგვლივ ამხ. კვირიკაძის მიერ, ღია საარტილერიო პარკის კომუჯრედის კრება უსურვებს საბჭოთა მთავრობას ალორძინებას და განმტკიცებას, როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკაში, რაიც მიიყვანს საბჭოთა რესპუბლიკების და მთელი მსოფლიოს მუშათა კლას სრულ საბოლოო გამარჯვებამდე. ამის შემდეგ დღის წესრიგის ამოწურვის გამო კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

სამხკორი **ჩხიკვილი.**

ახალი ამბები.

— **ახალი კოოპერ. დუქნები.** ევკოგრუზის გამგეობამ დაადგინა გახსნას ახალი კოოპერატიული დუქნები ქართული დივ. შტაბთან, საბურთალოზე მყოფ ნაწილებთან და ცალკე მესანგრე ასეულთან.

— **მუშაობის გაფართოება**· მთლ. სამხ. კოოპერატივი (ევკოგრუზი) ბორჩალოს მაზრაში, თავის საკუთარ მამულში აფართოებს შინაურ კურდღლებისა და ფრინველების მოსაშენებელ ფერმის მუშაობას.

— **გლეხთა სასახლე ქუთაისში.** ლენინის სახელობის გლეხ. სასახლემ ქუთაისში მოაწყო 30 საწოლი ავათმყოფ გლეხებისათვის, სამკითხველო და იურიდიული რჩევა დარიგების ბიურო.

— **დახმარება ინვალიდებს.** ინვალიდთა ხელოვნურ ხელფეხის გასაკეთებლათ ბამბის კომიტეტმა გადასდო 10 ჩერვონეცი, ფინანსთა კომისარიატმა 12 ჩერვონეცი და 16 ქაღალდების დამამზად. ექსპედიციამ 300 მანეთი.

— **ქალაქის კეთილ მოწყობა.** ქალაქის კეთილ მოწყობის მიზნით დაარსდა სამეული ამხ. ს. გეგეჭკორის თავმჯდომარეობით.

— **უმუშევართა სასადილო.** ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დაადგინა უმუშევართა სასადილოს საჭიროებისათვის ყოველთვიურათ გადასდოს 250 ჩერ. მან.

— **ქოხ. სამკითხველოები.** ტფ პოლიტ·განათლების მმართველობამ ქოხ-სამკითხველოების საჭიროებისათვის გადასდო 13.920 მან. ჩერ.

— **ტყის მოშენება.** ქალ. აღმასკომის სატყეო კულტურის სექციამ ქალ. ტფილისის მიდამოებში ტყის მოსაშენებლათ გადასდო 15.000 მ. ჩ.

არტილერიის სკოლა ცეცხლის ასეულში·

3*).

1. **შეტევა.** შეტევის ხანა ორ ხანად დაიყოფა: ასეულის მოძრაობა 1200 ნაბიჯიდან 600 ნაბიჯამდის, როდესაც მუშაობენ მხოლოდ მსუბუქი ტყვიამფრქვევები და 600 ნაბიჯიდან იერიშამდის, როდესაც იწყებენ სროლას ავტომატები და თოფები.

შეტევის პირველ ხანის დამხასიათებელი მოქმედებანი შემდეგია:

1) როგორც შემტევი ისე მომგერებელი აამუშავებენ მსუბუქ ტყვიამფრქვევებს.

2) იწყება გადარბენები თავის ტყვიამფრქვევის ცეცხლის მოფარებით;

3) საბოლოოთ ჩამოყალიბდება საბრძოლო წესი, რეზერვის მიმართულება გამოირკვევა.

4) ღრმა წყობილებების (კლაკნილები) მაგიერ გაშლილი (შარი) წყობილება იქნება ყოველ ჯგუფში. მხოლოდ ინტერვალი და მანძილი ისევ იმისთანავე დარჩებიან, იმ მოსაზრებით რომ შრაპნელმა ნაკლები ზიანი მიაყენოს. თუმცა ადგილმდებარეობასთან შეფარდების გამო შესაძლებელია ესენიც შეიცვალონ.

5) ნამდვილი შარი მართლაც კი არ იქნება: პოზიციაზე იქნებიან 2—3 კაცი ტყვიამფრქვევით, მათ უკან კი 4—5 კაცი ცალკე, ისე რომ ჯგუფი 30—40 ნაბიჯს დაიკავებს.

6) იმატებს ზიანი—მეტი ხალხის გამოსვლით წყობილებიდან.

7) ვაზნათა ხარჯვა იმატებს, ამიტომ ასეულის ზურგში ამუშავდებიან ვაზნების მიმწოდი პუნქტები.

არტილერიის სროლა შედარებით დაახლოვების ზოლზე სროლასთან, მთლათ უნდა შეიცვალოს: რაც შემტევი ნაწილები უფრო ახლო და ახლო მოდიან მოგერებასთან მით უაღრეს მიზნების **ერთდროული** დაზიანების პრინციპი მეტად წამოყენებულ უნდა იყოს; უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი შეტევა ან შემცირება ცეცხლის წინ გამოსულ ჯგუფებზე, მისცემს მათ შეძლებას ადვილათ დაიკავონ ან გამოვიდენ იმ პუნქტებთა შუა, რომელნიც შემტევის არტილერიის ცეცხლით დანგრეულია.

მოგერების არტილერიას ეხმარება ცეცხლი არა მარტო მძიმე ტყვიამფრქვევლისა, აგრეთვე მსუბუქისაც, ამიტომ მიიღება რა მხედველობაში მინიმალური ზიანი მაინც, არტილერიისთვის მიზანთა რიცხვი შემცირებული იქნება ამ ხანაში აი რა მიზნები იქნება არტილერიისთვის: მძიმე ტყვია მფრქვევები (ეს ტყვიამფრქვევები ამ ხანაში იცვლიან თავის პოზიციებს). მსუბუქ ტყვია მფრქვევთა ჯგუფები შეტევის მთავარ მიმართულებაზე, საშველი, ვაზნების მოძრავი პუნქტები. სულ ბევრი 5—7 მიზანი: 1—2 ტყვიამფრქვევთა ჯგუფი 1—2 ჯგუფი მძიმე ტყვია მფრქვევისა. ვაზნების მიმტანთა ერთი ჯგუფი და 2 ჯგუფი მსუბუქ ტყვია მფრქვევების (მსროლელნი—თოფიანები და ავტომატები საფარის უკან არიან ჯერ.)

როგორც საერთო წესად მიღებულია არტილერიამ უნდა მიმართოს თვისი ცეცხლი ყველაზე საშიში (ძლიერ) უბნისკენ, მხოლოდ დანარჩენ (ნაკლებად მნიშვნელოვან უბნისკენ კი თვალყური აქვს მიქცეული, იქით იმუშავებენ უმთავრესად მისი მძიმე ტყვი, მფრქვევები).

თვით ცეცხლის წარმოების სახე შემდეგი იქნება: ბატარეის ყველა ცალკე მწყობრის ცეცხლი მიმართულია ერთ ჯგუფზე, შემდეგ მეორეზე, მართვა ცეცხლისა მისი მიბრუნ მობრუნება ისე მარდი და მოკლე უნდა იყოს თითქოს ერთდროულად რამდენიმე მიზანს ესროდესო. არტილერიის ცეცხლის მოშორებისას ერთ ჯგუფიდან მძიმე და მსუბუქი ტყვია მფრქვევები გააძლიერებენ ამ ჯგუფზე თავის ცეცხლს. ამავე დროს აუცილებელი პირობაა, რომ ჯგუფის ყოველი წინ წაწევა უნდა მიიპყრობდეს ბატარეის მწყობრის ცეცხლს. ამ რიგად, ჯგუფს არც ერთი ისეთი შეჩერება (პოზიცია) არ უნდა ჰქონდეს, რომ მასზე მოგერების არტილერიის ცეცხლი არ იყოს გაჩენილი.

იმ ასეულზე, რომელსაც ათასეულის რეზერვი მოსდევს, ან რომელმაც ყველაზე წინ გაიწია, მიმართული უნდა იყოს უბნის რაც შეიძლება მეტი მწყობრები თუ გინდ სხვა ბატარეიბისაც ამ უბნისა.

ამავე დროს ბატარეის უფროსი ყოველ წამს მზად არის, რომ ჯგუფების მოახლოვებისას ან მათ ერთათ შეყრისას შეუყურსოს ბატარეის მცველი ცეცხლი და მიმართოს ყველაზე საშიშო მიზანში.

დ. ქარ—ძე.

სასოფლო მეურნეობა.

როდის უნდა გადავრგათ ხე.

ხე ცოცხალი არსებაა. გაზაფხულის, ზაფხულის და შემოდგომის განმავლობაში ის იზრდება; ამოაქვს მიწიდგან საკვები, ფოთლების შემწეობით ამუშავებს მას და მით იკვებება.

ზამთრისთვის ხეს ფოთოლი სცვივა ის ასე ვსთქვათ ისვენებს.

ამ დროს ხეში საკვების მოძრაობა თითქმის შეჩერებულია და ცხოვრებაც მოდუნებულია.

ამ მოსაზრებებიდან უნდა გამოვიდეთ როცა ვსაზღვრავთ ხის გადარგვის დროს.

როცა ხე იზრდება მისი გადარგვა შეუძლებელია, რადგან მისი ფესვები და ფოთლები საკვებს იმუშავებენ. ამ დროს ხე რომ მოვთხაროთ ის გახმება. მაშასადამე, გადარგვა ისეთ დროს ნდომია როცა ხე უფოთლოა.

ჩვენი ცდა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ხემ გადარგვა ადვილად გადაიტანოს გადარგვა და ახალ ადგილზე ადვილათ და ჩქარა განვითარდეს.

გადარგვა შეიძლება ნოემბრიდან მარტის დამლევამდე. ამ დროს განმავლობაში რაც უფრო ადრე გადავრგავთ ხეს მით უკეთესია, რადგან ზამთრის ბოლოს ხე ადრე დაიწყებს ძირების ზრდას და მალე მოიკიდებს ფეხს.

ზამთარი ჩვენში უმეტეს შემთხვევაში არ არის ძალიან ყინვებიანი. მაშინ მებაღე უფრო მოცლილიც არის.

დარგვა კარგ ამინდში უმჯობესია. ასეთ დროს მიწა ფხვიერია მალე არ ჯდება.

წვიმიანი ამინდები უფრო გაზაფხულობით იცის. წვიმაში მიწა ატალახებულია მალე ჯდება—იტკეპნება.

ამ მხრივაც ზამთარში გადარგვა უმჯობესია გაზაფხულის გადარგვაზე.

ჩვეულებრივათ ხე ფესვების საწოვრებს უშვებს ნიადაგში თებერვალში, როცა კვირტებს გაღვივებაც არ დაუწყიათ.

თუ ამ დროს ხე დარგულია ის უკეთ განვითარდება და მალეც გამოკეთდება.

ამიტომ უნდა ვეცადოთ ხე რაც შეიძლება ადრე დავრგათ. ხის დარგვა შეიძლება თებერვალ—მარტშიც. მაგრამ მას ამ შემთხვევაში უფრო უჭირს გამომჯობინება. ამ დროს დარგვა კიდევ იმითაა უხერხული, რომ გაღვივებული კვირტები გადარგვის დროს შეიძლება მიატყდეს და ხეს აზიანებს.

ჩვენი ქვეყნის თბილ ჰავიან ადგილებში ხე ძალიან ადრე იღვიძებს, ასე რომ რაც უფრო ადრე გადავრგავთ მას, მით უკეთესია.

მთიან ადგილებში, სადაც მეტი ყინვები იცის, ხის ზამთრის განმავლობაში გადარგვა არ შეიძლება. აქ უმჯობესია მოუცადოთ სიცივეების ბოლოს და როცა დათბება მაშინვე შეუდგეთ ხეხილის გადარგვას.

მეურნე.

მეცნიერება და ტექნიკა

წყალზე და ხმელეთზე მოსახმარი ჰაეროპლანი.

ყველაზე უფრო ძნელ საქმეს ჰაეროპლანისათვის ძირს დაფრენა და აფრენა წარმოადგენს. სწორედ ამ დროს იღუპებიან ჰაეროპლანების უმრავლესობა. შემჩნეულია, რომ დაღუპულ ჰაეროპლანების მთელი რაოდენობიდან 65 პრ. ძირს დაფრენისა და მაღლა აფრენის დროს იღუპება. ერთობ ძნელია თვითმფრენისათვის დაფრენის და აფრენის მომენტები.

აქამდე ჰაეროპლანები განსაკუთრებული დანიშნულებით მზადდებოდენ. ისინი შეგუებული იყვენ ან წყალს და ან ხმელეთს. ე. ი. თუ რომელიმე ჰაეროპლანს მხოლოდ წყალზე შეეძლო დაფრენა და იქედანვე აფრენა, ის მხოლოდ აქ იყო გამოსადეგი, ხმელეთზე კი მოქმედება არ შეეძლო. ასეთივე კონსტრუქციით მზადდებოდა ხმელეთზე გამოსაყენებელი ჰაეროპლანებიც, მათ მხოლოდ ხმელეთზე შეეძლოთ დაფრენა. ასეთი განსაკუთრებული ხასიათი თვითმფრენისათვის ხშირად საბედისწერო ხდებოდა. როდესაც გიდროჰაეროპლანი იძულებული შეიქნებოდა დაშვებულიყო ხმელეთზე, მას აუცილებლად კატასტროფა მოელოდა. ხმელეთი მისთვის უდიდესი მტერია ასეთსავე კატასტროფას იწვევს ხმელეთზე დაფრენას შეგუებული თვითმფრენის წყალზე დაშვება.

სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია გამოეგონებიათ ისეთი სისტემის ჰაეროპლანები, რომლებსაც შეეძლებოდათ როგორც ხმელეთზე, ისე წყალზე დაშვება. ეს განზრახვაც შესრულებული იქნა. ინჟენერ ფოკერმა შესძლო გამოეგონებია ასეთი სისტემის ჰაეროპლანი. ეს გამოგონება დიდ გამარჯვებას წარმოადგენს. ჰაეროპლანი მშვენივრად არის შეგუებული, როგორც წყალს ისე ხმელეთს. აი როგორ არის ის მოწყობილი. მთელი თვითმფრენის სხეული წარმოადგენს თითქმის მფრინავ ნავს, რომელსაც თანა აქვს ხმელეთზე დასაშვებათ გამოსაყენებული ბორბლები თვლები. ფრენის დროს ეს ბორბლები იკეცება თვითმფრენის ფრთების ქვეშ, ხოლო ხმელეთზე დაშვების დროს ბორბლები ასრულებენ იმ როლს, რასაც ჩვეულებრივი ხმელეთის ჰაეროპლანების თვლები.

წყალზე დაშვება კი აღნიშნულ ფოკერის თვითმფრენისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. ახალი ჰაეროპლანის ნავისებური ნაწილი დაფარეულია დურალიუმინის ფურცლებით. თვითმფრენს ეწოდება „ამფიბია" და აღჭურვილია ნეპირის 450 ცხენის ძალის მოტორით ამფიბიას შეუძლია აიტანოს ჰაერში 800 კილოგ. ანუ 49 ფუთი სიმძიმე. ახალი სისტემის ჰაეროპლანი მეტად დიდ გამოყენებას ჰპოვებს იმ ადგილებში სადაც ხმელეთი ხშირად არის დასერილი წყლით, საერთოდ ჰაეროპლანი ისეა მოწყობილი, რომ მოგზაურობისათვის შედარებით ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენს.

შეიხ.

ჩერვონეცის კურსი 28 მარტს

1 ჩერვონეცი 24,000,000,000.

ჩერვონცის კაპეიკები ამიერ-კავკასიის ბონებში.

1 ქ.= 24,000,000	37 ქ.= 888,000,000	73 ქ.=1,752,000,000
2 ქ.= 48,000,000	38 ქ.= 912,000,000	74 ქ.=1,776,000,000
3 ქ.= 72,000,000	39 ქ.= 936,000,000	75 ქ.=1,800,000,000
4 ქ.= 96,000,000	40 ქ.= 960,000.000	76 ქ.=1,824,000,000
5 ქ.=120,000,000	41 ქ.= 984,000,000	77 ქ.=1,848,000.000
6 ქ.=144,000,000	42 ქ.=1,008,000,000	78 ქ.=1,872,000,000
7 ქ.=168,000,000	43 ქ.=1,032,000,000	79 ქ.=1,896,000,000
8 ქ.=192,000,000	44 ქ.=1,056,000,000	80 ქ.=1,920,000,000
9 ქ.=216,000,000	45 ქ.=1,080,000,000	81 ქ.=1,944,000,000
10 ქ.=240,000,000	46 ქ.=1,104,000,006	82 ქ.=1,968,000,000
11 ქ.=264,000,000	47 ქ.=1,128,000,000	83 ქ.=1,992,000,000
12 ქ.=288,000,000	48 ქ.=1,152,000,000	84 ქ.=2,016,000,000
13 ქ.=312,000,000	49 ქ.=1.176,000,000	85 ქ.=2.040,000,000
14 ქ.—336,000,000	50 ქ.=1,200,000,000	86 ქ.=2,064,000,000
15 ქ.=360,000,000	51 ქ.=1,224,000,000	87 ქ.=2,088,000,000
16 ქ.=384,000,000	52 ქ.=1,248,000,000	88 ქ.=2,112,000,000
17 ქ.=408,000,000	53 ქ.=1,272.000,000	89 ქ.=2,136,000,000
18 ქ.=432.000.000	54 ქ.=1,296,000,000	90 ქ.=2,160,000,000
19 ქ.=456,000,000	55 ქ.=1,320.000,000	91 ქ.=2,184,000,000
20 ქ.=480,000,000	56 ქ.=1,344,000,000	92 ქ.=2,208,000,000
21 ქ.=504,000,000	57 ქ.=1,368,000,000	93 ქ.=2,232,000,000
22 ქ.=528,000,000	58 ქ.=1,392,000,000	94 ქ.=2,256,000,000
28 ქ.=552,000,000	59 ქ.=1,416,000,000	95 ქ.=2,280,000,000
24 ქ.=576,000,000	60 ქ.=1,440,000,000	96 ქ.=2,304,000,000
25 ქ.=600,000,000	61 ქ.=1,461,000,000	97 ქ.=2,328,000,000
26 ქ.=624,000,000	62 ქ.=1,488,000,000	98 ქ.=2,352,000,000
27 ქ.=648,000,000	63 ქ.=1,512,000,000	99 ქ.=2,376,000.000
28 ქ.=672,000,000	64 ქ.=1,536,000,000	1 მ.=2,400,000,000
29 ქ.=696,000.000	65 ქ.=1,560,000,000	2 მ.=4,800,000,000
30 ქ.=720,000,000	66 ქ.=1,584,000,000	3 მ.=7,200,000,000
31 ქ.=744,000,000	67 ქ.=1,608,000,000	4 მ.=9,600,000,000
32 ქ.=768,000,000	68 ქ =1,632,000,000	5 მ.=12,000,000,000
33 ქ.=792,000,000	69 ქ.=1,656,000,000	6 მ.=14,400,000,000
34 ქ.=816,000,000	70 ქ.=1,680,000,000	7 მ.=16,800,000,000
35 ქ.=840,000,000	71 ქ.=1,704,000,000	8 მ.=19,200,000,000
36 ქ.=864,000,000	72 ქ.=1,728,000,000	9 მ.=21,600,000,000
		10 მ.=24.000.000.000

---

*) იხ. გაზეთი „წითელი არმიელი". № 458.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1,300 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3 პასუხისმგებელი რედაქტორი: ლ. ჩინჭლაძე